



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საქართველოს მთავარი პროკურორი



KA011301058529213  
ქ.თბილისი

24 / ოქტომბერი / 2013 წ.

ბრძანება 7-მ

საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესისა და ფორმის, ასევე, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „ePLAN“ მოდულში გეგმის რეგისტრაციისათვის უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ

„შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა განისაზღვროს დანართის შესაბამისად;
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „ePLAN“ მოდულში გეგმის რეგისტრაციისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პარამეტრის ცვლილების განმარტაციულ პირად განისაზღვროს საქართველოს მთავარი პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი;
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე .

საქართველოს მთავარი პროკურორი

არჩილ კვიციანი



**სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა**

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტი, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმისა და გეგმის ცვლილების პროექტებს ადგენს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესისა და დანართის შესაბამისად.

2. საქართველოს მთავარი პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტი, მომდევნო წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტს და სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ნებისმიერი პარამეტრის ცვლილების შემთხვევაში გეგმის ცვლილების პროექტს წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს მთავარი პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის კურატორ მთავარი პროკურორის მოადგილეს, ხოლო მისი არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში - საქართველოს მთავარი პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის კურატორი მთავარი პროკურორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს.

1. საქართველოს მთავარი პროკურატურა	2. შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი: 204398302
3. შედგენის თარიღი:	4. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი
1. სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს შესაბამისად:	

№	დანაყოფის კოდი	დანაყოფის დასახელება	სავარაუდო ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	შესყიდვის ვადები (კვარტლები)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8

შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი/უფლებამოსილი პირი \_\_\_\_\_